საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 3 21 0000075472

08/02/2021

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2021 წლის 03 თებერვლის №54701 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სტაჟირების გავლის წესისა“ და ცენტრის დირექტორის 2021 წლის 04 თებერვლის №59533 ბრძანებით შექმნილი სტაჟირების კომისიის 2021 წლის 04 თებერვლის №1 ოქმის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის N89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ

1. ცენტრის სტაჟიორთა შერჩევის მიზნით გამოცხადდეს კონკურსი (შემდგომში - კონკურსი) ცენტრის შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებში: დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურში 2 ადგილზე, საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოში 1 ადგილზე, შიდა აუდიტის სამსახურში 1 ადგილზე.
2. კონკურსში მონაწილეობისთვის კანდიდატთა განაცხადის წარდგენის ვადა განისაზღვროს სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე - www.hr.gov.ge - კონკურსის გამოცხადებიდან 10 კალენდარული დღის ოდენობით - 2021 წლის 08 თებერვლიდან 2021 წლის 17 თებერვლის ჩათვლით.
3. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
3.1. დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახუში, სტაჟიორად მიიღება:
ა) საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას, აქვს მიღებული ან იღებს უმაღლეს განათლებას განათლების, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ან ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით.

ბ) ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე (წერა და მეტყველება);
გ) საოფისე პროგრამების (Microsoft Office Word; Microsoft Office Excel) კარგად ცოდნა;
3.2. საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოში სტაჟიორად მიიღება:
ა) საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას, აქვს მიღებული ან იღებს უმაღლეს განათლებას ჟურნალისტიკის მიმართულებით.
ბ) ინგლისური ან/და რუსული ენა ცოდნა B1 დონეზე (წერა და მეტყველება);
გ) საოფისე პროგრამების (Microsoft Office Word; Microsoft Office Excel) კარგად ცოდნა;
3.3. შიდა აუდიტის სამსახურში სტაჟიორად მიიღება:
ა) საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას, აქვს მიღებული ან იღებს უმაღლეს განათლებას ბიზნესის ადმინისტრირების, ფინანსების, ბუღალტერიის ან ეკონომიკის მიმართულებით;
ბ) საოფისე პროგრამების (Microsoft Office Word; Microsoft Office Excel) კარგად ცოდნა.
4. კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანების ცოდნა.
5. მე-4 პუნქტში მითითებული თემატიკის გარდა, შიდა აუდიტის სამსახურში სტაჟირების მსურველს მოეთხოვება „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის ცოდნა.
6. სტაჟიორს ევალება: ხალმძღვანელის ცალკეული დავალებებისა და მითითებების შესრულება, რომელიც მიმართული იქნება სტაჟიორის პროფესიულ ზრდის, პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განვითარებაზე და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
7. სტაჟირების გავლის მსურველს უნდა გააჩნდეს:
ა) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
ბ) წერითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარი;
გ) ანალიტიკური აზროვნების უნარი;
დ) დამოუკიდებლად და გუნდურად მუშაობის უნარი;
ე) პროფესიული განვითარების უნარი.
8. დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურში, საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოში სტაჟირების ხანგრძლივობა განისაზღვროს - 6 თვის ვადით, ხოლო შიდა აუდიტის სამსახურში - 3 თვის ვადით.
9. კონკურსი ჩატარდეს ორ ეტაპად:
ა) განცხადების გადარჩევა;
ბ) გასაუბრება.
10. კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ვებგვერდის - www.hr.gov.ge მეშვეობით, ჩემი რეზიუმეს შესაბამის ველში უნდა ატვირთოს:
ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი ან ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რითაც დასტურდება სწავლის ფაქტი;
ბ) მიუთითოს 1 (ერთი) რეკომენდატორის ვინაობა (სახელი გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია).
11. დაევალოს ადამიანური რესურსების და საქმისწარმოების სამსახურს ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით, კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.
12. საკონკურსო განაცხადების განხილვა და საკონკურსო კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მოხდეს, შეფასების ქულობრივი სისტემით, კონკურსანტების განაცხადის შემოტანის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა.

13.დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - ინფორმაციის განთავსების უზრუნველყოფა.
14. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ